# საქართველო
## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25


საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უახლოეს მორიგ პლენარულ სხდომაზე წარდგენის მიზნით გეგზავნებათ:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის დასკვნა.
3. საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2018 წლის 15 მაისის №43 სხდომის ოქმის ამონაწერი.

დანართი: -5- ფურცელი

პატივისცემით,
კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია


29-01-08/63
15.05.2018
6 ფურცელი

<u>**პროექტი**</u>

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**უმაღლესი საბჭოს**

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**

**„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

**მუხლი 1.** „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ” აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილების (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www. matsne.gov.ge), 09.12.2016) პირველი მუხლის V პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„V. საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია:**
1. გიორგი რომანაძე – ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“
2. გიორგი მანველიძე – ფრაქცია „ქართული ოცნება“
3. ნინო ჩხეტია – ფრაქცია „ქართული ოცნება“
4. ვახტანგ წულაძე – ფრაქცია „ქართული ოცნება-აჭარა“
5. ხვიჩა შარაშიძე – ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“
6. გია აბულაძე – ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

**მუხლი 2.** ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2018 წლის
№

# განმარტებითი ბარათი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:**

დადგენილების პროექტის მიღების მიზეზია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს წევრის ზაზა ოქუაშვილის მიერ პირადი განცხადების საფუძველზე საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის შემადგენლობიდან გასვლა.

**ბ) დადგენილების პროექტის არსი**

დადგენილების პროექტით უმაღლესი საბჭოს წევრს ზაზა ოქუაშვილს უწყდება უფლებამოსილება საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიაში.

**გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება:**

დადგენილების პროექტი არ საჭიროებს საფინანსო-ეკონომიკურ გაანგარიშებას.

**დ) დადგენილების პროექტის ავტორი:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

**ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილების იმ პუნქტის მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი დადგენილების პროექტით შედის ცვლილება

V. საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია:

1. გიორგი რომანაძე – ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“
2. გიორგი მანველიძე – ფრაქცია „ქართული ოცნება“
3. ნინო ჩხეტია – ფრაქცია „ქართული ოცნება“
4. ვახტანგ წულაძე – ფრაქცია „ქართული ოცნება-აჭარა“
5. ხვიჩა შარაშიძე – ფრაქცია „ქართული ოცნება-მაჟორიტარები“
6. გია აბულაძე – ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“
7. ზაზა ოქუაშვილი – დამოუკიდებელი უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომისია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

**საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის**

**დ ა ს კ ვ ნ ა**

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების განხორციელების შესახებ**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ 2018 წლის 15 მაისის სხდომაზე, უმაღლესი საბჭოს წევრის ზაზა ოქუაშვილის განცხადების საფუძველზე განიხილა უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების განხორციელების საკითხი.

უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-4 და 24-ე მუხლის მე-3 პუნქტების გათვალისწინებით კომისიამ მოამზადა და უმაღლესი საბჭოსათვის წარსადგენად მხარი დაუჭირა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკის დადგენილების პროექტს - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელზეც მომხსენებლად დაინიშნა კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია

# ა მ ო ნ ა წ ე რ ი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2018 წლის 15 მაისი №43 სხდომის ოქმიდან**

**მოისმინეს:** კომისიის თავმჯდომარის ნინო ჩხეტია ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების განხორციელების შესახებ.

**გადაწყვიტეს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინოს კომისიის დასკვნა და უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
2. დადგენილების პროექტზე უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მომხსენებლად დაინიშნოს კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია

# ა მ ო ნ ა წ ე რ ი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2018 წლის 15 მაისი №43 სხდომის ოქმიდან**

**მოისმინეს:** კომისიის თავმჯდომარის ნინო ჩხეტია ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილების განხორციელების შესახებ.

**გადაწყვიტეს:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინოს კომისიის დასკვნა და უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის არჩევის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.
2. დადგენილების პროექტზე უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე მომხსენებლად დაინიშნოს კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია